საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ადუედააძიჟი

ადუედააძიჟი, ტბა ოჩამჩირის მუნიციპალიტეტში, კოდორის ქედის ჩრდ. კალთაზე, ზ. დ. 2411 მ. უჭირავს მყინვარული კარის ძირი. ზედაპირის ფართ. 2,3 კმ 2. საშ. სიღრმე 29,6 მ, მაქს. – 64 მ. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლით. მაქს. დონე ზაფხულის პირველ ნახევარში აქვს, მინ. – ზამთარში. ტბიდან გაედინება მდ. ადუედა. ზაფხულში წყლის ტემპ-რა 16–18°C. ზამთარში იყინება. წყალი მტკნარია.